

კომპანიის შესახებ:

ინოვაციების კომპანია **Qarva** ქმნის სატელევიზიო პროგრამულ უზრუნველყოფას და უკვე 15 წელზე მეტია ოპერირებს როგორც ქართულ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

Qarva-ს წარმატებული და ცნობილი სატელევიზიო პროგრამული უზრუნველყოფის პროექტი საქართველოში წარმოდგენილია SilkTV-ის სახით.

2017 წელს ლონდონში Qarva-ს ტექნოლოგია, მულტიპაიპი, წარდგენილი და დაჯილდოვებული იყო როგორც საუკეთესო სტრიმინგის ინოვაციური ტექნოლოგია. 2018 წლიდან Qarva გახდა DVB (DVB – Digital Video Broadcasting - <https://dvb.org>) კონსორციუმის წევრი.

ვაცხადებთ ანაზღაურებად სტაჟირებას - მორიგე ინჟინრის პოზიციაზე

მორიგე ინჟინერი აწარმოებს SilkTV სისტემის მონიტორინგს. ეს პოზიცია საინტერესო იქნება დამწყები სისტემის ადმინისტრატორებისთვის. Qarva-ში შესაძლებლობა გექნებათ ისწავლოთ, განვითარდეთ და დაწინაურდეთ თქვენთვის სასურველი მიმართულებით.

რას ველოდებით მორიგე ინჟინრისგან?

- IT სისტემის და ინფრასტრუქტურის მონიტორინგი:
- IPTV მაუწყებლობის ხარისხის კონტროლი:
- აღმოჩენილ პრობლემებზე რეაგირება, საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელი პირების დროულად ინფორმირება
- პრობლემების Service Desk-ში დაფიქსირება

ამ პოზიციაზე დაგჭირდება:

- Unix სისტემების საბაზისო ცოდნა
- სასურველია საქსელო მოწყობილობებთან მუშაობის გამოცდილება
- სასურველია რუსული ან ინგლისური ენების ცოდნა

როგორი უნარ-ჩვევები უნდა გქონდეს რომ გახდე Qarv-ელი?

- დისციპლინირებულობა
- პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა
- გუნდური მუშაობის უნარი
- საქმეზე ორიენტირებულობა
- ინოვაციურობა

როგორი გამოცდილება იქნება შენთვის ქარვაში მუშაობა?

- კომფორტული, მეგობრული გარემო
- პროფესიული განვითარების შესაძლებლობა
- მხარდამჭერი გუნდი
- მდიდარი ორგანიზაციული კულტურა
- ყოველდღიური ლანჩი
- ჯანმრთელობის დაზღვევა (სტაჟირების დასრულების შემდეგ)

ანაზღაურება:

- სტაჟირების პერიოდში 250 ლარიდან, შემდეგ 600-1100 ლარი ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით, ტესტირების წარმატებულად ჩაბარების საფუძველზე.

განვიხილავთ გამოუცდელ მოტივირებულ კანდიდატებსაც!

სამუშაო გრაფიკი: 24 საათიანი ცვლა ყოველ მეოთხე დღეს.

გადმოგვიგზავნე რეზიუმე HR@qarva.com და სათაურში სასურველი პოზიციის მითითება არ დაგავიწყდეს ☺

წარმატებები!